

# პ რ ი ლ ი

№4 [149]

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

30 პაგინი

ფასი 50 თეთრი

1134  
2000

# #4 2000



“თუნდაც ქრისტე მხოლოდ ამაღლებული ლეგენდის გმირად ჩავთვალთ, თვით ის ფაქტი, რომ ასეთი ლეგენდა შეთხზეს და შეიყვარეს ორფეხა არსებებმა, რომლებმაც მტკიცედ არაფერი იციან, არანაკლებ იდუმალი და სასწაულებრივია, ვიდრე ლმერთის შვილის რეალური ხორცშესხმა. ამ ბუნებრივ, მინიერ საიდუმლოს შეუძლია მარად აღელვებდეს და აკეთილშობილებდეს მათ გულებს, ვისაც არ წამს.”

სუბპარტო აპო

პ რ ი ლ ი  
საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

# პრილი

საზოგადოებრივ-ლიბერალური  
ასოციაცია "პრილი" გამომევა

პრილი - დასასვენებელი სემინდეთა(ნი)  
სულხან-საბა

პრილი - შხის შუქი, რამეზე დამდგარი  
ქართული ენის,  
განმარტობითი ლექსიკონი

## მთავარი რედაქტორი შადიშან შამანაძე

**სარედამცეო სპეჭო**  
მალსაზ ხარბედია  
(მთ.რედამცეორის მოადგილე)  
ლევიან აბაშიძე  
ია ანთაძე  
ირმა არჩუაშვილი  
ანდრო ბუაჩიძე  
გია გორგოძე  
თამაზ ვასაძე  
ნინო ზურიაშვილი  
ზაზა თვარაძე  
ვახტანგ კომახიძე  
დავით ნინიკაშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი)  
ზვიად რატიანი  
ირაკლი სამსონაძე  
სოზარ სუბელიანი  
ზაზა ფარუაშვილი  
ზაზა ჭილაძე

დირექტორი  
მიხეილ ჩიხაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თამაზ ჩხაიძე

ტელ: 93-40-35, 93-52-96;  
ფაქსი: 98-67-90;  
e-mail: kharbedia@yahoo.com  
მისამართი: პ. ინგოროყვას ძ. №5

ფურნალი იბეჭდება გაზეთ  
"კავკასიონის" სარედამცეო ბაზაზე



№4 ხუთშაბათი, 30 მარტი, 2000  
ბამონის ორ კვირაში ერთხელ

### ლიბერალურა

ბურაბ დონანაშვილი:  
"მწერლის დანიშნულებაა ბიბლია მიიტანოს ხალხამდე".....1

ზაზა თვარაძე  
ქველით ახალ ნელს, თორმეტ საათზე.....3

ანდრო გუაჩიძე  
ლექსები.....10

ნუზარ ზაზანაშვილი  
წრეები წრეში.....12

ირვინ სტატნარი  
სიმღერა: საპრეზიდენტო არჩევნები.....15

იუჰან გორგანი  
პეტი და ლისე.....17

იტალი კალვინო  
სიმსუბუქე.....19

**რევიზია**

უგაბერტო ეკო  
როცა სცენაზე გამოდის სხვა.....23

სოზარ სუბარი  
მოჩვენებითი აღმსარებლობის საფრთხე.....35

**პუბლიცისტიკა**

დავით ზურაბიშვილი  
ედუარდ შევარდნაძის უკანასკნელი არჩევანი.....26

ვასილ მაღლაფარიძე  
რაც დავინახე.....31

ვახტანგ კომახიძე  
ნატოსკენ მიბავალ გზაზე.....36

გერარდ ღონანაშვილი:

# “მწერლის დანიშნულებაა გიბლია მიიტანოს ხალხამდე“



26 მარტს გურამ დოჩანაშვილს 61 წელი შეუსრულდა. ბესო ხვედელიძემ “არლის” სახელით დაბადების დღეც მიულოცა და “სარგებელსაც” გამოირჩა, ინტერვიუზე დაითანხმა. კიდევ ერთხელ ვულოცავთ ბატონ გურამს ამ არასაიუბილეო თარიღს და ჯანმრთელობას და შემოქმედებით დაულღელობას ვუსურვებთ.

- ყოველი მწერლის ცხოვრებაში, ალბათ დავაბა მომდინი, როცა თავს ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას უსვამს: რატომ ვწერ? თქვენ თუ გაეცით ამ კითხვას პასუხი?

- სიბართლე გიხსრათ, არც კი მასსოვს წერა როდის დაიწყე ერთი მოგონება შემომჩნა: ერთხელ, მავშოვში, ავად ვიყავი და სათამაშოდ არ მიშვებდნენ - მაინც გადავწყვიტე წარმოემდინა როგორ დავხტოდი, დავრბოდი გუბებში. შემომჩნა ეს წარმოსახვა. შემდეგ პირველივე კლასიდან, წერა-კითხვა რაც ვისწავლე - ლექსებს ვწერდი. პროზაზედ ბევრად გვიან, სტუდენტობის პერიოდში მივედი. თუმცა მანამდე მჭირდა ორი ძალიან კარგი საქმე: ჯერ მუსიკოსობა მინდოდა, მუსიკალური აინლედოც დავანაირეც, შემდეგ არქეოლოგიამ გამოტაცა. საოცარი მოგონებები მაქვს, თვებით მინედა უცხო ხალხში, უცხო გარემოში ცხოვრება - ამ დროს, სხვადასხვა რისხვებზე ადამიანი! - ბოლოს მაინც პროზამ გადაძლია.

- თქვენს შემოქმედებით კონცეფციას როგორ ჩამოაყალიბებდით?  
- ყოველი მხატვრული ნაწარმოების მიზანი ერთია - ადამიანი რაღაცით უკეთესი, თავის თავზე მეტი გახადოს. ხელოვნება ამისკენ უნდა ისწრაფოს, დანაირები ყველაფერი სულიწმინდის მიერა ნაშუქარი: ნიჭიც, შრომისუნარიანობაც - არ მეფერა ადამიანზე რომ ამბობენ ნიჭიერია, მაგრამ ზარმაციო - ნამდვილი ნიჭი არ მოგასვენებს.

- მუსიკა ასხენით, ლიტერატურას მუსიკასთან შედარებით ერთი ნალი აქვს - ენაზეა დამოკიდებული. მუსიკის ენა კი ყველა ეროვნებისთვის ერთია. ლიტერატურის თარგმნის დროს რაღაც მაინც იკარგება, იცვლება. თქვენი რომანის “სამოსელი პირველი“-ს რუსულ თარგმანში სათაურიც კი შეცვლილია. კმაყოფილი თუ ხართ ამ თარგმანით და საერთოდ, როგორ თვლით - საჭირო თუა ლიტერატურის თარგმნა?

- მართალი გიხსრათ, რუსულად ნათარგმნი ვერც ნაეკითხე - იმდენად უცხო გახდა ჩემთვის. აქ მხოლოდ თარგმანის ხარისხზეც არ არის - უნის საკითხია. ტყუილია, რომ ამბობენ პოეზია პროზაზე რთული სათარგმნიაო - პროზასაც აქვს თავისი რიტმი და თარგმნისას ამ რიტმის ხელშეუხებლად გადატანა ძალიან ძნელია. მიუხედავად ამისა, მისკოვში “სამოსელი პირველი” მაინც დადებითად მიიღეს... ჩემი წიგნები ნათარგმნია ბულგარულად, ესტონურად, სუთი წიგნი რუსულად, აქედან ყველაზე მეტად ერთი პოლონელი ქალბატონის თარგმანი მომწონს. ალბათ იმიტომ, რომ თბილისში ცხოვრობდა და ჩემს ყოველ სიტყვას ხუთნაირად თარგმნიდა, მერე ერთად ვაჩვენებდი საუკეთესოს. ისე, როცა ვწერ, უცხოელი მკითხველი სულაც არ მარტობდა, პირველ რიგში მე ჩემი ხალხისთვის ვწერ.

- იქნებ ამის ბრალიცაა, ქართულ ლიტერატურას ასე ცუდად რომ იცნობენ საზღვარგარეთ - ქართველი მწერლები ზედმეტად “ქართულად” ხომ არ წერენ?

- შეიძლება. თან ეს ალბათ, პატარა ერის სინდრომიცაა: რომელი უცხოელი ფლობს ქართულს იმდენად სრულყოფილად, სრულფასოვანი თარგმანი რომ გააკეთოს. რუსული, ინგლისური ყველამ იცის - რა შედარებაა, ამ ენებთან თარგმნა ადვილია. ალბათ ჯობს ქართველებმა თვითონ თარგმნონ თავისი ლიტერატურა... ქაბუა ამირეჯიბმა ხომ თარგმნა თავისი ნაწარმოები. სხვათა შორის, ლიტერატურულ თარგმანს მე მაინც ბნეარედი მირჩევნია - პრეტენზია არ აქვს მხატვრობაზე, სამაგიეროდ, აზრი მაინც არ მაინჯდება.

- თქვენ ამბობთ, რომ ქართველებისთვის წერთ, მაგრამ მოქმედება ხშირად უცხო ქვეყნებში გაეცთ გადატანილი, აი, თუნდაც “სამოსელი პირველი”...

- “სამოსელ პირველში” ყველა სახე, ხასიათი ქართულია. გაკერიო, კოხთური ხასიათებიც კი იგრძნობა. ძველი ქართული სახელებია გვეგვეც, ნანდუ, სიტყვებიც - ზოგი ისეთი სიტყვა მაქვს გამოყენებული მჭერბოძებზე სააკულის შემდეგ რომ აღარავის უხმარია. არადა, სიტყვათმწოდობაზე ბევრი მედღეობდა. ადამიანები, რომლებიც ჩარჩობი ჩასმულ გრამატიკულ ნორმებზე არიან გაზრდილი, გააღიზიანა ამ რომანმა. ისე, ბევრი ამ რომანს კოსმოპოლიტურს უწოდებდა.

- თავად თუ ფიქრობთ ასე? “სამოსელი პირველი” მართლა

21702

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

**კოსმოპოლიტური ნაწარმოებია?**

- საერთოდ, მიყვარს მოქმედების სხვა ქვეყნებში, ზოგჯერ არარსებულ მხარეებში გადახვევა. მაგრამ აქ მანერ სულ საქართველო იგულისხმება. პოლისადამოლოს რუსთაველიც არაბთებუ წერს, მაგრამ ნუთუ ნიშნავს, რომ "კუფისტიკოსანი" კოსმოპოლიტური ნაწარმოებია?... ისე, ყველაფერს მინდა ისეთი ნაწარმოები დანერა, ყველა ერისთვის ერთნაირად ახლებელი რომ იქნებოდეს...

- თქვენი ნაწარმოებები არაერთხელ იქნა დადგმული სცენაზე, ეკრანიზებულიც. როგორ მოგწონთ მაგალითად ფილმი "ხესამე"?

- არ მომწონს. საერთოდ, მოთხრობას რომ ვწერ, იქ ყველა წერტილსა და მძიმეს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს... კინოში მე ვერ ჩავერევი, ეს ჩემი სამე არ არის. ყველაზე მეტად ჩემი ნაწარმოებების დადგმებიდან მანერს ზგზარ ბაგრატიონის მომენონა, მანერ "ვატერ(პო)ლოი, ანუ აღდგენილი სამუშაოები" დადა. ძალიან ბუნდერი ვიყავი რომ ენახე. დარბაზიც აღფრთოვანებული იყო. ნეტავ ეგ დადაც გადავლით დიდი მადლობელი ვარ ბატიონ ერისოს - მან ტელესპექტაკლებში ითამაშა, მთელი გული ჩადო.

- თქვენი ნაწარმოებების დიდი ნაწილი საბჭოთა პერიოდში შეიქმნა. ცენტრალისტანზე ვუკრიად შეხება?

- ნაკლებად. არ ვიცი, როგორ ვთქვა - ცენტრალ კარგი იყო! - მაგრამ ცენტრის არსებობა, ადამიანს სხვა გზების ძიებას აიძულებს, ახალ საშუალებებს გამოაჩინებებს. მისთვის, "სამოსლმა" ძალიან დაეჭვათ, რატომ არის მთავარი გმირი არაქართველი. მე უფროარი, მოქმედება უფსოვლი ხდება და უზრუნველი იქ სასტუმროს დასახლისს მთავალა დადგედა, შევიცარა კი მივიყო-მთქო. ზოგჯერ მართლ სახალცილო ამბები ხდებოდა. ერვანა როსინიზე დადგნერ, იტალიურ ლეიონს წერუადა-მეთქი. შემომიზდნენ - რატომ იტალიურსო. მაშინ ქართველი ლეიონ დადგნერ, აბა რომ არ ვიყუდი - როსინი "წინადადს" სვამდა-მეთქი.

- თქვენი შემოქმედებაში ლათინური სამყაროს სიყვარული იგრძნობა...

- არა მბატო ლათინურისი. ძალიან დიდ სიხალცილეს ვგრძნობ გერმანულ სამყაროშიც. მოთხრობადა მაცეს დახერული იოანს სებასტიანს ხახზე.

- ლიტერატურულ გაღვინაზე რას იტყვი?

- გაგვალა - არ ვიცი, მაგრამ რამდენიმე შენრაღმა ჩემზე მართლაც უზარმაზარი შობაგებულება მოაღწინა. ახლა ვწერ რომანს და იქ ხუთი, ჩემი აზრით უდიდეს მწერალზე ენაუბრებ. პირველი სალტკოე-შედრინია. საბედნიეროდ, გვიან ნავითობე ადრე რომ ნამკეთობა - ნადვილად გამსრეგებ. ეს არის კაცო, რომელიც ნერვეით აუშენეს. ტოლსტოი მაგალითად, შენთვის აუშენეს, სალტკოე-შედრინი ეს კოლმეც, ანგრეც, მაგრამ რანდენი სიყვარული უქმს...

ფოლკტრზე საერთოდ ვაფრე... ძალიან მიყვარს მთელიერი, აი სერვატრზე კი ჩემთვის ყველაზე ბუმბერაზია. დიდ პატივს ვცემ კოპონგს, მეღვალეს, აღარაფრას ვიტყვი შექსპირზე... ჩემს სათავყვანებელ კომპოზიტორებზეც ვწერ. ამ რომანში ჩვენი ცხოვრება ასახული - ეს აუტანელი ყოფა, სიმინიშურ, ნაკვეი, მაგრამ ისეც ხელოვნება, ყოველივეზე რომ აგამაღლებს.

- ქართულ ლიტერატურაში ვინ არის თქვენთვის ასეთი ახლობელი?

- ყველაზე დიდი სიმპატია მანერ გურამ რჩეულიშვილის მიმართ მაცეს. პოეზიაში 26 წელი წორმაღალურია, მაგრამ პროზაიკოსისთვის ეს ძალიან ცოტაა. ძალიან დიდ ფიგურად მიმაჩნია ჯემალ ქარმაძე. მისი მოთხრობა "იგი" ამერკაში ან ინგლისში რომ დაწერილიყო - მთელს მსოფლიოს მოსდებდნენ. ასევე ლეონიძის "ნატერის ხე". ძალიან დიდ პატივს ვცემ ქაბუა ამირჯვანის როგორც მწერალს და როგორც პიროვნებას - მუდამ ისეთი გაუტყბელია, როგორც თავად საქართველო. მისი ახალი რომანი "გორა მთორგალი" მე "დათა თუთაშიაზე" ნაკლები სულ არ მგონია. დიდი მწერლები ჯერყვას რეზო ინანიშვილი, რეზო ჭიჭიშვილი, გურამ გეგეშიძე, თამაზ ჭილაძე, ნარია გელაშვილი... სხვათა შორის ამგებად ვკითხულობ მის წიგნს - ძალიან დიადი ნაწარმოებია. დიდი პროფესიონალია ოთარ ჭილაძე. ანა კალანდაძე და შოთა ნიშნანიძე - ჩემი სალცოვეები. საოცარი შობაგებულება დატოვა თამარ ჯვახიშვილიც, ძალიან მოკრძალებული ქალბატონია და ამიტომაც არის უცნობი.

- ახალგაზრდა თაობის მწერლებზე რას იტყვით?

- ვიცნობ ზაზა ბურჭულაძეს (გრეგორი ზაზა), ლაშა ბულაძეს, არის კიდევ ხუთი-ექვსი ახალგაზრდა, რომლისთვის ძალიან მეყრს. ჩემს დროს ამდენი კარგი მწერალი არ იყო.

დაღეს კი ესენი იმედის მომცემი კი არა, უკვე შემდგარი მწერლები არიან.

- საკუთარი შემოქმედებიდან რომელი ნაწარმოები გიყვარება ყველაზე მეტად?

- "თავგარანცხელი ქაბუკი" - ალბათ იმიტომ, რომ იგი ყველაზე უკრე შერევა ქართულ პოეზიას. ეს კი ჩემთვის ყველაზე ძველრეფანია. სულ სიმბოლოებია - ცალი ხელით დოღობი მთი მოაქცეს. დამაინყდა მეთქვა, რომ მწერლის მთავარი დანიშნულება ბილია პიროვნის მეთხებლამედ. რუსთაველისთან ვინ გვიას მოთხოვებს, მაგრამ იქაც ყოველი აფორიზმი ბილილითაა გაუღწერილი. კიდევ იმიტომ მიყვარს პირსაველი, რომ ქართული ენა მოკრეგანაა, გადაგვირჩინა. ხომ არის ხალხი, საკუთარი ენა სულაც რომ ამ იცის, რუსულად ლაბარაობს. ეს იმიტომ ხდება, რომ უშუშინი და ლერნოზტოვი ურჩევნია საკუთარ ვესსტ მწერალს. ისე ე, ყველა შემოქმედი თავმდაბლობით ფასდება - ვინც მართლა მაგარია, იმას არდგერი აქვს დასაკარგი, გაბუნძელში კი არაფერი შემოქმედობითი.

- ისევ თქვენს შემოქმედებას შევხვობ - ყველაზე მეტად რომელი ნაწარმოების შექმნა "გაგანავალა"...

- მე პირიქით ვიპასუხებ, ყველაზე ადვილად, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე "კაცი რომოსლავ

ლიტერატურა ძალიან უყვარდა" დაწერე. მზე კვერნაქებზე მოთხრობების წერა ვაცილებლი რთული იყო...

- როგორ ფიქრობთ, ქართველი მწერლები მხოლოდ რეკონსული მასტაბილით არიან "დიდები" თუ მართლა აქეთ ასეთი წონა?

- რა თქმა უნდა, აქეთ. იმის თქმა კი არ მინდა რომ გაქრეგება კარგია, მაგრამ ქართველი რომ სულ დაძაბული იყო, ეს უმიცხედა შემოქმედებისაკენ. ახლა უზრუნველყოფილი სახელმწიფოები რომ არიან, რა ფასი აქვს მათ ლიტერატურას, შევიცარა, პოლანდია აილეთ, მათი ყველაფერი ხომ სულ თითადან გამოწვილი და გადამტერებულია. სულ სხვაა მაგალითად, ლათინური ამერკა, იქ სულ ომები, რეველიციები იყო და შეხედეთ რა დიდოსტატები ნაწი დაძაბულობა ამბოვრებს შენებს... მხარეთმცემი ვამოკორებულ, გამძალარ კაცს ხელოვნება რად უნდა. ამიტომაც დაღეს საქართველოში ვაჭრები, ჩარჩები ხელოვნება რომ დასკინები. გაქრეგებდაც მიდის ხელოვნება. ერხებულ ფრანგებმა გადაწყვიტეს სერვატრისათვის საწურები მერიტობით რომ ჩავედნენ, ესანეთში მისი კოშკი მოკითხეს. იქაურებს გაუკვირდით - კიბის ქვეშ ექნა სერვატრის მთელი ცხოვრება. მაშინ ფრანგებმა თქვეს - ამ კაცმა კიბის ქვეშ თუ ასეთი რამე დაწერა, ჩვენი საწურები აღარ სჭირდებაო.

- და ბოლოს, ბატონო გურამ, ფურნალი "არილი" დაბადების დაღეს მოგილოცავთ და უამკითხოვდ ვერ დაგემშვიდობებთ, ქართველი მკითხველი რა ლიტერატურულ სიხალცილეს უნდა ელოდოს თქვენად?

- ეს იქნება, ზემოთ ვთქვი უკვე - რომანი დღევანდელიადაც. მასზე საწერად ახლა ვეზუაობ... რამდენადაც მქვდება საშუალება ამ საწინელ სოციალურ პირობებში. მის დასრულებას მანერ სადღაც ამრილისთვის ვვარუდობ.

- დიდი მადლობა.

საქართველო  
**საღილი**





ზაზა თხარაძე

# ქველით ახალ წელს, თორმეტ საათზე

ჩემი ცოლის ძმა ლევან ნაპა-შიძე ერთ-ერთი საინტერესო ადამიანია, ვისაც კი ცხოვრებაში შეგვეხვედრივარ. საინტერესო ამბების მოყოლაც იცის. მიყვარს ზამთრის გრძელი საღამოების მასთან გატარება. ვზივართ, ესაუბრობთ უცნაურ და თავსამტერვე ამბებზე. მას ყოველთვის მოეძებნება რაიმე საიდუმლოებით მოცული ისტორია. თებერვლის იმ ნილიან საღამოსაც მასთან ვიყავი სტუმრად კლანდაძის ქუჩაზე ვისხედით ძველ სანერ მაგიდასთან და ნითულ ლეინის ენრუპავდით. ეს ამბავი მაშინ მომიხსრო.

მაგურამ ჯერ ორიოდე სიტყვა ითო ლევანის შესახებ.

ეს არის უალრესად პუნქტუალური ვინმე. აქვს დაკვირვების არაჩვეულებრივი უნარი. იცის ყველაფერი ამქვეყნად და ბევრი რამ - იმქვეყნადაც. დამთარებული აქვს ფიზიკის ფაკულტეტი მისკოვის უნივერსიტეტში და საფთხის-მეტყველო ფაკულტეტი თბილისის სასულიერო აკადემიაში. უცოლშვილოა. ცხოვრობს მარტო, ორითიხიან ბინაში, კლანდაძის 7 ნომერში. ტანად საკმაოდ მაღალია - ექვსი ფუტი და სამი დუმი. ხმელ-ხმელი, გრძელი კიდურების პატრონი, აქვს გამჭირვანი ქროლა თვალები, ცუხიანი ცხვირი, ნებისყოფიანი ნიკაპი, სწირი შავი თმა, შუბლის ძლიერი მეტისმეტად განვითარებული. გარეგნულად მძევითენება ცერებროტორული ეკტორიოზის ტიპს. როგორც უკვე ვთქვი, მისი შობა უჩვეულო და საიდუმლოებით მოსილი ისტორიები და თავსატეხებია. საერთოდ სიტყვაძუნია, მაგრამ ასეთი ისტორიების მოყოლის დროს სასვეთი გარდაიქმნება - თვალები უღვავს და აზარტით ყვება ამბავს, ისე რომ უმცირეს დეტალებსაც არ ტოვებს - ყოველთვის მაცვიფრებდა დეტალების შემწვევის მისი უნარი. მას კი თავის შრივ აცვიფრებდა ჩემი განუშორებელი ოატმიზმი, და დაუფერვბა და ლეინის სიყვარული. იმ დღესაც საუბარი იმთა დაიწყეთ.

- ჩაი, ვიფა თუ ლეირი? - მოკლედ მკითხა მან.

- ლეირი.
- კატლუტი?
- კატლუტი?

ლევანმა სანერ მაგიდას პატარა სულრა გადაადგარა და ზედ დადგა საფერავის ბოთლი, ორი ჭიქა და თევ-შუბი.

- აბა - უფთხარი მუ, როდესაც კატლუტებს მუსრი გავაველ და სიგარეტსი გავაბოველ - რაიმე საინტერესო ამბავი გეტქება ჩემთვის.

ნამით ჩაფიქრდა, შუბლი შეკრა.

- ოთარ ბარაბაძის თუ იცნობდი? - მკითხა მერე.

- აბა თვენანვერის წინ რომ მოკლეს?

- მოკლეს არ ჰქვია. დაფლითეს.

- დაფლითეს?  
- შო. ავაზამ დაფლითა. მეგობარი ქალის ბინაში.

- ეს უკვე საინტერესოა. რა, ქალს სახელში ავაზა ჰყავდა?

- ავაზა ზოიპარკიდან იყო გამოქცეული.

- აა მასხოსს ავაზა მგონი გასული წლის ბოლოს გამოექცა ზოიპარკიდან, მაგრამ კაცი თუ დაფლითა, არ ვიცოდი.


- ეს ამბავი არ განმარებულა - კმაყოფილებით გადმომხედა - იყო მასში რაღაც საჩოთიორო მომენტები. ავაზა ველარ იპოვეს. მისი გაქცევის შედეგი კი ფრიად ტრაგიკული აღმოჩნდა: ორი მკვდარი ძაღლი, ორი დაფლითი კაცი და ჭკუაზე შემცდარი ქალი.

ექვთი შეზეფე - ერთი ცნობილი ნოველის პერიფრაზირებას ზომ არ აკეთებს-მეთქი. - მაგრამ, ვიცოდი, ზუმე-რობა საერთოდ არ სწყვიდა. მის სახეზე ვერაფერი ამოვიცნოხე - მხოლოდ თვალები უღვავდა, როგორც ყოველთვის თავსატეხის ამოცნობის დროს.

- გაინტერესებს? - ლევანმა სიგარეტი საფერავლს დაასრისა.

- მაინტერესებს. მიდი - საფერავის დიდი ყლუპი მოვსე და სენება ვიქეცი.

- ეს ამბავი ორი თვის წინ დაიწყო, თუმცა პრეისტორია გაცილებით უფრო ხანგრძლივი აქვს. ოთარ ბარაბაძის ჰყავდა მეგობარი, უფრო სწორად, ამფსონი, გელა ნაფეტვარიძე. ინსტიტუტი ერთად დაამთავრეს. მერე ერთად შევიდნენ გვარდალაში. ბოლოს მისამე ამხანაგთან, ზურამ ჩუთლაშვილთან ერთად საბაროკორო ფირმა გახსნეს. გარდა ამისა, შემოჰქონდათ ბენზინი. კარგა ბლომად ფული გააკეთეს. მაგრამ კეთილდღეობამ დიდხანს არ გასტანა. აქვს, როგორც თითქმის ყველა ტრავდაში, ტრავ აღმოჩნდა გარეულთა. თანაც - ლამაზი ქალი. ეს იყო ნაფეტვარიძის მუფულე წელი გ. გელამ იგი სა-მი წლის წინ ითხოვა. შვილი არ ჰყოლიათ. როგორც ირკვევა, წელი ძქარს ლალატობდა - მასა და ოთარს შორის უკვე აწ წელიწადნახევრის წინ გაბიარალაც ძაფიძი. აქ წინწიწიწიფიანა გელამ და ოთარის დაამოკლებულბადა. ოთარი ყოველთვის ლიდერი იყო, გელა - მიმყოფი. უფრო მეტიც - მათ შორის შეიმწნოდა ერთგვარი პატრონ-ყმირი და მოყოლებულბა. ეს დამოკლებულბა ჩამოყალიბდა და ვერ კიდევ ინსტიტუტში სწავლისას. ოთარი იყო უფრო გონიერი და მიზანსწრაფული. ყოველთვის ყველაფერი საუკეთესო მას უნდა რე-



ბოდა. გელა კი მის გამოწვევას სდევდებოდა. გინახავს ოთარის ლურჯი "ბუბეშე"? იმ მანქანა გელამ ჩამოიყვანა მაგნაშიდან, მაგრამ ოთარმა მიდენი ქნა, რომ თავის "დაცუნში" გაუქვლა. განა არ შექცდი, თვითონაც ისეთივე "ბუბეშე" ყვიადა? მაგრამ არა. რალაც აუხსენელი კანონზომიერების თანახმად, ოთარს ყველაფერი გელაზე უკეთესი უნდა ჰქონოდა. მუფულეობი იყო, თუნდაც, ორივეს ერთნაირი მანქანები შეყოლიდათ. ოთარს აუცილებლად უკეთესი, გელას - ოდნავ უარისი. ასე იყო ყველაფერში და უხედილნა ორივეს სასვეთი ბუნებრივად ეცივნებოდათ. არც გელას, არც, მით უმეტეს, ოთარს ეს ოდნავაც არ ანუხებდათ. პირრით, გელა კმაყოფილი იყო იმით, რომ ყველაფერი საუკეთესო ოთარისთვის დაფიშო. მისთვის ოთარი მისამდგენდა შემფასებულს და სარეიტორი თანრიგის მიმცემს. გელა ოთარის ფონზე მოიპოვდა. შერც იცი, არსებობს ამგვარი ტიპის მეგობრობა და, სხვათა შორის, ეს მეგობრობა ხშირ შემთხვევაში უფრო ძვირად, ვიდრე სხვაგვარი. შესაძლოა აქ სადომანზონისმის გარკვეული ელემენტები იყოს გარეული, შესაძლოა - ადამიანთა ბუნებრივი მიდრეკილება ბატონობისა თუ მონობისკენ. შესაძლოა - კიდევ სხვა რამ. ასეა თუ ისე, ამგვარი მეგობრობა, როგორც წესი, ხანგრძლივი და მტკიცეა და არ ირღვევა, სანამ რომელიმე პარტნიორი თავის უფლებებს არ გადააჭარბებს. ოთარს და გელას მეგობრობასაც ალბათ არაფერი დაარღვევდა, რომ

თავისდა საუბედუროდ გელას ლამაზი ქალი არ მოეყვანა ცოლად გინახავს ნელი?

- ნელი სად უნდა მენახა. მე ეგ გელაც არ ვიცი ვინ არის - მივუგებ. - ნელი ამ ქუჩაზე ცხოვრობს, ზუსტად ჩემს პირდაპირ. ტრაველიც სწორედ მაგ სახლში გათამაშდა. მაგრამ ეს - ბოლოს. არ შეგიშინვია ამ ქუჩაზე ლამაზი მაღალი ქალი, ქერად შედბილი თმა აქვს, შავები აცვია, ზაფხულობით მზის სათვალეს ხმარობს. ძალიან მოშიშობლავია. სწორედ ეს ნელი შეირთე გელამ ცოლად. ეს იყო მისი პირველი შეცდომა.

- რად იყო მეორე შეცდომა? - თვალეზიმონკურულმა ვკითხე.

- მეორე შეცდომა ის იყო, რომ გაუთვებლად ელპაპარკებოდა ცოლს თავის სათავადად მძაკაცზე. არც კი ცდილობდა დაეხლა ითარისსადმი თავისი დამოკიდებულება. შესაძლოა ამაში ვლინდებოდა მისი არაცნობიერი მისწრაფება იმისკენ, რომ მისი ცოლიც, - ასე ლამაზი და უნაკლი, ისევე როგორც ყველაფერი საუკეთესო, ითარისს კერძი გახდარიყო. ასეა თუ ისე, როგორც რეკავს, სწორედ ამ აღდროივანებულმა საუბრებმა გაუღებდა ქელს ინტერესი ითარისსადმი. ითარიც თავის მხრივ განზობდა, რომ ეს მდგომარეობა რაღაცით არაბუნებრივია. განა შეიძლება გელას შვილიადა ასეთი ქალი და მას - არა? ეს დაუფიქრებელი იყო, გამორჩეული - თავად მათი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე. არ ვიცი, რომელმა გადადგა პირველი ნაბიჯი. - ალბათ ორივემ ერთდროულად - ამას არცა აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა. ფაქტი კი ის არის, რომ ქორწინებიდან თერამტი თვის მერე ნელი ითარისს საყვარელი გახდა. ეს იყო მათი პირველი შეცდომა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს წყვილი იდეალურად შეესაბამებოდა ერთმანეთს: ნელი - ასე ლამაზი და არცინალური. ითარი - მაღალი, ბრგე, მედის ნებიერი, ამ ცხოვრების ნაშვლილი ბატონ-პატრონი. მათ გვერდზე გელა უზარლო დამატებასავით გამოიყურებოდა.

მათი ურთიერთობის შესახებ გელამ არაფერი იცოდა. არადა ეს ურთიერთობა იმდენად თვალსაჩინო იყო, კაცი ბრმა უნდა თვალდევნიყო, რომ ვერ დაგინახა. და გელა იყო კიდევაც ბრმა. უფრო სწორად - განზრმა დამრბეული. პარადიქსულია ადამიანის ფიქტიკა. როგორც ვთქვი, სადაცა, გულის სიღრმეში, გელას შესაძლოა შჰონდა ფარული მიწნარაფება, რომ მისი ცოლი, ისევე როგორც ყველაფერი საუკეთესო, ითარისს კუთვნილება: გამზადარიყო. ეს ფარული მიწნარაფება მას ცხადია, არასოდეს გაუცნობიერებია. ცნობიერად ვერაფერი დაუშვებდა ამას. არადა სწორედ ეს მიწნარაფება გახდა მიზეზი იმისა, რომ, მოსაწყვც ნელი მართლაც გახდა ითარისს კუთვნილება,

გელამ ვერაფერი დაინახა. ვერ დაინახა ის, რასაც ყველა ხედავდა. არამცხოვრებ ვერ დაინახა, გუმანიოთაც ვერ იგრძნო, ოდნავი ეჭვიც კი არ გაუჩნდა. ცნობიერად მას არ შეეძლო დაეშვა, რომ მისი ცოლი მისი მეგობრის საყვარელი გახდებოდა. მისი ფსიქიკის იმ შრეებში კი, სადაც ინტუიტური ეჭვი და გუმანი იბადება, გაბატონებული იყო ეს არაცნობიერი მიწნარაფება ნელის ითარისს კუთვნილებაზე გახდომის შესახებ. ეს არაცნობიერი მიწნარაფება მოქმედებდა თავისივე თავის ანტაგონისტურად და საფუძველშივე ახშობდა ყოველგვარ ინტუიციასა და გუმანს. შესაძლოა სწორედ ეს იყო გელას სიბრმავეს მიზეზი, შესაძლოა - მსგავსიც არაფერი ყოვილა და გელა, უზარლოდ, ზედმეტად გულმურყვილი და მიმნდობი იყო - თუმცა ეს ნაკლებად საყვარულდებოდა.

სწორედ აქ დაუშვეს ითარმა და ნელიმ თავისი მეორე შეცდომა: მათი თავი დაიწრმუნეს, რომ გელამ მათი ურთიერთობის შესახებ უკვე იცის და მორჩილად ურიგდება ამ მდგომარეობას. ანკი როგორ უნდა ეფიქრაო, რომ ნელიანდანებურის მანძილზე გელა ვერაფერს მიხვდებოდა. ჯერ ერთი, შეყვარებულთა ურთიერთობა უკვე თავისთავადაც ზედმეტად თვალსაჩინო იყო, მეორეც - თვითონ ითარი და ნელი, შეთქმულთათვის დამახასიათებელი აზრტობა და კანდიერობით, ყოველნაირად აგრძობობინდენენ გელას ამას. - ორპირივანი სიტყვებით, მინიშნებებით, გამოიხატებებოთ. ამით კიდევ ერთობიღუნ და ნიადაგაც სინჯავდენენ. მათ უკვე დასკვნას, რომ გელა უკვე ყველაფერს მიხვდა და ახლა მორჩილად ელოდება, რადის მივა ითარი და პირდაპირ, მოიარების გარეშე გაუშვებს - შენი ცოლი მე მომყვება და კორნილში ხელისმომკიდე იყავიო.

ეს გამეფლა მართლაც მოხდა, მაგრამ არა ითარისს, არამედ ნელის მიერ. ეს იყო ამ თვენახვერის ნინ, 29 დეკემბერს. ნელი და გელა სახლში რაღაცაზე წაეკრკვავდენენ და ნელიმ პირდაპირ მიახალა, რომ იგი ითარისს საყვარელია.

- კაცი არა ხარ! შენი ცოლი შენიც უახლოესი მეგობრის საყვარელია და შენ ეს ამბავი ოდნავაც არ გაუღლებვს. პირიქით, ესამოყვარენს კიდევ! შე არაკაცო! - შესახება მან.

გელას სახეზე მკვდრის ფერი დაეფი. და აქ ნელი მიხვდა, რომ დაეშვა ითარისს უზიარესი შეცდომა. რომ გელას მათი ურთიერთობის ამბავი ეჭვად არ შჰიონია. ენაზე იკებია, მაგრამ უკვე გვიან იყო. მესიე სახით გელამ უსიტყვიოდ დაეალო პალტის ხელი, დაინხრა თავისი განუყრელი შავი ქუდი და კარი გახიზრა.

- გელამ - ისტერიულად იკვლია ნელიმ. მისი კვილი გელას არც გაუგონია.

ეს მოხდა 29 დეკემბერს, საღამოს,



დაახლოებით 8 საათზე. მეორე დილას გელა დიღობს ტრასაზე იპოვეს მკვდარი.

- თავი მოიკლა? - გამოთქვი ვარაუდი.

ლევანმა ჩაიციანა.

- ვერ გამოიციანა. ცტედარს სამი ტყვია შჰიონდა მოხვედრილი. სამიდან ერთი ზურგში. ორი სხვადასხვა იარაღიდან. ხელში შერჩენილი შჰიონდა კიდევ სხვა, ალბათ ითარისი პისტოლიც, რომლიდანაც ერთი ტყვია იყო ხსაროლი. პოლიციამ, ცხადია, ვერაფერი დაადგინა. ნელის არაფერი უთქვამს იმდღევანდელი ჩხუბის შესახებ. მე ვფიქრობ, ნელის მიერ მოულოდნელად მიხლილი სიმართლე გელასთვის იმდენად თავზარდამცემი აღმოჩნდა, რომ მეგობრის მოკვლა გადანწყობა. ალბათ სასწილში მიავიხებს ითარს და მანქანით გაიყვანა დიღობს ჰიკვ. თან ახლადთ კიდევ ვიღაც. საფარულია - მათი შესახებ კომპანიონი, ზურგან ჩჰუთლაშვილი. მანქანა უკაცრევად ადგილას გააჩერეს. გადმოედინა. გელამ ითარი ნინ განატარა. თვითონ, იარაღით ხელში, მანქანისკენ ზურგსტყვეული იდგა. სწორედ ამ დროს ესრეცა ჩჰუთლაშვილმა მანქანიდან გელამაც გაისროლა და მანქანისკენ შებრუნდა. ჩჰუთლაშვილმა მეორედ ესრეცა. გელა დაეცა და ნაქვეულს უკვე ითარმა დაახალა მესამე ტყვია.

- რაღაც დაუფერებელს შჰავს.

- არ ვიცი. ეს მოლოდინ ჩემი ვარაუდი. ამ ამბის მომხსნითავან არცერთი აღარ არის ცოცხალი. მაგრამ ჩემს ვარაუდს ერთი ფაქტი ამაგრებს - მკვლელობის იდეალი თვითონ დავთვალდებურ და გზის განაბრის ვიპოვე საბურავების კვლი, რომელიც გელას "დაცუნის" საბურავების იდენტური იყო. როგორც ვითარია, გელას შჰავდა ითარისს გამოჩნადი "დაუხნი". ეს მანქანა მოკვლეობის ღამეს ვიღაცამ ალბათ ითარმა - ნელის სახლიდან მო-



აყენა. მოკლულს ძალადობის სხვა არავითარი კვლი არ აჩნდა. არც გაბარებული იყო. დიაკარგა მხოლოდ მისი ფართოფარდებიანი შავი ქუდი, რომელსაც განუყრელად ატარებდა. სახლიდან გასვლისას, როგორც ნელი ამბობს, ქუდი თავზე ეწურა, მაგრამ გვამის სისპილვის ვერ აღმოაჩინეს. უფრო სწორად, არც უძებნიათ. ეს ქუდი დაიბასსოვერ, როდგან მეტად მნიშვნელოვანი დეტალია მთელ ამბავში.

ლევანს ლეონი მოსვა. მეც მოვსვი, ჭქია ისევ შევსვი და ვთქვა:

- კი მაგრამ, ავაზა რაღა კავშირშია ამ ყველაფერთან?

ლევანს თვალეში რაღაც კვიმატი ცმცხლი აუვლიდა.

- ახლა იწებება ამ ამბის ყველაზე უცნაური და დაუგუერებელი ნაწილი. გელას გარდაცვალებიდან ზუსტად ცხრა და დასაბუღებიდან სამი დღის შემდეგ ზოოპარკთან გაიქცა შავი ავაზა, სახლად ვაფრე.

- როგორ გაიქცა?

- კარგი შეკითხვაა - ლევანმა მიწონებით შემომხედა - ეს ასე მოხდა: იმ დღეს, რვა იანვარს ზოოპარკში მიიღეს სამი ახალი ცხოველი - ორი ბაკუსკაჩი და ერთი ხბოგორი.

თვალეში შუბლზე ამიცივდა. რაღაც ირეალობა ვგრძენი.

- რაო, რა მიიღესო?

- ორი ბაკუსკაჩი და ერთი ხბოგორი.

- ბაკუსკაჩი რაღა ჯანდაბაა, თუ ძმა ხარ?

- ბაკუსკაჩი მომცრო ბუკემითის მსგავსი აფრეკული ცხოველია.

- კაი, და, ხბოგორი რაღაა?

- რა ვიცი მე, რა არის ხბოგორი - ცოტა გაღიზიანებით შესძახა ლევანმა. ყოველივს დიზინფიცირდა, როცა რამე არ იციოდა - მოიყვანეს თუ არა, მესამე დღეს მოუკვდათ, თვალათია, მე მინახავს. რაც მომკვლევამა მიხიხრეს, იმას გაუზუნები. განვაგრძო?

- განაგრძე.

- მაშასადამე, მ იანვარს ზოოპარკში მიიღეს სამი ახალი ცხოველი. მათი დაბინავებისას მომკვლევებს იფედგრობით თუ უთაობით გაიქცა იქ მყოფი ერთადერთი შავი ავაზა, სახლადან ჯანჯო. როგორც მომკვლევები ირწმუნებიან, ატაცვისას მან გამოაჯლინა წარმოდგენელი ეშმაკობა და საზრიანობა.

- ვეღარ დაიჭირეს?

- დღესაც არ იციან სად არის.

- რაღაც ამ ბოლო დროს ჩვენი ზოოპარკიდან ხშირად გარბიან ცხოველები.

- რამე სხვა შემთხვევაც იცი? - სწრაფი ინტერესით მკითხა ლევანმა.

- შარშან შემოდგომაზე ელენე მუგადა ზოოპარკში და გალიოდან დათვი გაიქცათ. დღისით, შუისით. მაგრამ ის ძალიან უწყინარი დათვი იყო.

- ისევ შეაბრუნეს გალიაში?

- კი - მივუტეე მე.

- როგორ?

- მომლიცლიე მივიდა ხელში მანვინის ბოთლით. არ ვიცი, რად უნდოდა დათვს მანრი, მაგრამ მასწინებ ჩამოართვა და დასწნა. მერე ცოტა ნაიჭორავს აქეთურზე, იქითურზე, სივარტე გააბარეს და ამის შემდეგ დათვი თავაზიანად დაბანძმდა გალიაში დაბრუნებზე. ახლა ავაზას ამბავი განაგრძე.

- მომკვლევებს ვესაბურე. მათი თქმით, ავაზამ ატაცვისას გამოაჯლინა ქუშმირები და ზეპუნებრივი საზრიანობა.

კერძოდ რა - ვერცერთმა მათგანმა დალაგებით ვერ ამისხნა. მხოლოდ ერთხმად გაიძიხოდნენ, რომ მშევი მოქმედება როგორც ძალიან მოხერხებული ადამიანი. ისინი ამას განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს, რომ მშევის მოქმედება ადამიანისას შვავდა. საერთოდ ეს ცნობილია, რომ ზოგჯერ ავაზები სრულიად წარმოდგენელ ამბებს სწავლიან. მაგალითად, სასუქუნის დასაწყისში ინდოეთში, ბუნჯაბის ოლქში კაციჭამია ავაზამ რაღაც მანქანებით გაალო ჩაქეტილი შერბობის კარი, გადაიარა იატაკზე მძინარე ოცამდე ადამიანის სხეულებზე, ყელი გამოაღარა მინც და მინც ოთახის სულ ბოლოში მწოლარე ქალს, მერე გვემი აიტაცა, ამ მძიმე ტვირთთანად ისევ უკან გადაიარა და ნარჩენ მძინარეთა სხეულებზე - ისე, რომ ძეხორციელს არაფერი გაუფტა - და გაუწინარდა.

- თუ არავის არაფერი გაუფტა, როგორ დასკვენეს, რომ სწორედ ავაზა იყო?

- ძალიან მარტივად. დილას მინაზე ნახეს ავაზას კვალი, სადგომის კარზე - მისი რტყვალების ანაბეჭდი. ოთახის ბოლოში - დაკარგული ქალის სისხლი. სისხლის ზოლი მისდევდა მთელ ოთახს, სახლის წინ ეზოს და მიიღოდა ტყისკენ. ამ კვალს მიჰყვნენ და ტყეში წაანყვნენ ნახევრადშეჭედილი. ქალის გვამს.

- და ავაზის არაფერი გაუფტა, როგორ დასკვენეს, რომ სწორედ ავაზა იყო?

- ძალიან მარტივად. დილას მინაზე ნახეს ავაზას კვალი, სადგომის კარზე - მისი რტყვალების ანაბეჭდი. ოთახის ბოლოში - დაკარგული ქალის სისხლი. სისხლის ზოლი მისდევდა მთელ ოთახს, სახლის წინ ეზოს და მიიღოდა ტყისკენ. ამ კვალს მიჰყვნენ და ტყეში წაანყვნენ ნახევრადშეჭედილი. ქალის გვამს.

დაიქვებით შევხედე.

- ეს ამბავი სად ამოიკითხე?

- ეს სწრაი ჯემ კორპეტის წიგნიში "შავი ავაზა შივინაპოლდან". იქ აღწერილია კიდევ სხვა მსგავსი შემთხვევები. საერთოდ ინდოეთში ავაზას საღმერთი ცხოველად აღიარებენ. განვაგრძო?

- განაგრძე.

- მამს ჯე. ჩვენი ავაზა გალიოდან გაიქცა და დიდი სისწრაფით გამებრთა საზრდით დასაბუღით, მდინარე ვერეს ხეობის გაყალიბით. ზოოპარკის ადმინისტრაცია სრულიად დაიბნა. გამოიძახეს მხანაძრეთა რაზმი. გადააჩრეკეს მთელი ხეობა, თითქმის ბეთიანბეს, მაგრამ ავაზას კვლივც გაჭრა. აი კიდევ ავაზას გამტრიაბობის ერთი მაგალითი: როგორც ვთქვი, ავაზა მამინე ბეთიანისეკვ გაიქცა. მაგრამ ეს მხოლოდ ხრიკი იყო. როცა მას ვერეს ხეობაში ეძებდნენ, იგი თურმე აქვე ყურის ძირში იმალებოდა.

- სად იმალებოდა?

- ვერის ბაღში. საბაგროსთის განკუთვნილი ბტორის ქვეყრას ქვეშ. იქ იმალებოდა მთელი ზუთი დღე-ღამე.

- რით იკვებებოდა?

ლევანს დაიხარა. საწერი მაგიდის უფერა უწინაა. რაღაც ფურცელი გამოიღო. უფრო ისევ მიკეჭა. ფურცელი წინ დაშიღო.

- ეს რა არის?

- ნაიკითხე.

ფურცელი დაგხედე. ეს იყო ჩვეულებრივი ხელნაწერის ქვეყრასი. ზედ გაკრული ხელით, აჩხაბაჩხა ასოებით წერა შემდეგ:

"მე, ვალერიან სერგის ძე ალავიძე, 42 წლის, ვადასტურებ, რომ 1994 წლის 11 იანვარს, ღამით, დასაბუღებით 2 საათსა და 30 წუთზე ვერის ბაღის სიასპილვის ვნახე მოზრდილი შავი მშევი, რომელიც ჩემი აზრით იყო ზოოპარკიდან გაქცეული ავაზა. ჩემი შეხვედრა მსვლთან მოხდა შემდეგ გარემოებაში. მე იმ ღამით მოვდებე მაგობრის ბინიდან, რომელიც ცხოვრობს მთაწმინდის უბანში და მივდილი ჩემს ბინაზე, დიდუბეში. რუსთაველის მეტროს ვერ მივუსწარი. შინისკენ ვეხით მივმართობიდი და გზად ჩაუფრე ვერის ბაღს, სადაც სინებლიდან გამოიჭირდა მანანა-ნლა ძალღების ხროვა და ყველი მიტრილიდნენ რამდენიმე ხანს. მე დავიხარე, რომ ჯოხი ან ქვა მენახა, მინაზე დაგდებულ, მაგრამ ამ დროს ძალღებმა ყვეო შევკვალეს ნკმტუნზე. მათ კუედები ფტქვემ ამოიძიეს და დაიწყეს ძურნვა ქაჩელის ქუჩის მიმართულებით. ვიფიქრე, რომ მათ ჩემი შევმინდათ, გავიმართე და ის იყო მიტრიალებას გაბირებდი, რომ ბაღის სიღრმეში ისარკითო გამოიჭირა მოზრდილი კუნაპტი შავი მშევი. იგი დავცა ხროვაში მყოფ ერთ-ერთ ძალღს, რომელმაც მიმაღვა ვერ მოსაწრო და თვალის დასაშაბებში გამოიღარა ყელი."



მერე სისხლიანი დროსნი ასწია და მე შემომპყრდა. შემინებული მოფტრიალი და რაც ძალი და ღონე მქონდა, გამოვიქეცი თავდადებარაზე. საბედნიეროდ მხეცი აღარ გამოდევნებია... ტექსტს თან ახლდა თარიღი - 25 იანვარი და ხელისმოწერა.

- ეს არის ასლი ერთ-ერთი მონაშის ჩვენებისა. აქედან ნათლად ჩანს, რომ ავაზა იკვებებოდა მანანანაშა ძაღლებით. ევერის ბაღის სიღრმეში, ზემოსხენებულ საბაგარის კონსოლის ქვეშ აღმოჩენილია ძაღლის ორი ნახევარად-შეჭმული ლუმი. აგრეთვე ავაზას შავი ბენჯი და ეუსკრემენტები. როგორც ჩანს, იქ იმალებოდა დღისით და მხოლოდ ღამით გამოდიოდა სასადიროდ. გაიცვებას ინვესტის ფაქტი, რომ ავაზა ტრაგედიის ღამემდეგ არცერთ ადამიანს არ დასხმია თავს. აგრეთვე ფაქტი, რომ გალიდან გაქცეულმა მხეცმა ტყეს ეს არ შეაფარა თავი, რაც ბუნებრივი იქნებოდა, თუკი გაიქცეოდა თავმარბეული მიმართულებით, მდინარის სეობის გაყოლებით, თრიალეთის ქედის კალთებისკენ, არამედ უკან დაბრუნდა და მთელი ხუთი დღე-ღამე იმალებოდა ქალაქის ცენტრში. რჩება შთბეჭდილება, რომ იგი რაღაცას ელოდა.

- ვის ან რას უნდა დალოდებოდა შუა ქალაქში ავაზა?

ლევანმა უცნაურად შემოხმედა.  
- მაგალითად, ძველით ახალ ნელს. შუეცები.

- რას მზნოუმები.  
- სრულიად ან გრზუმები - თქვა მან - გსმენია რამე მეტემფსიქოზის შესახებ?

- მეტემფსიქოზის? სულთა გადასახლების? მაგის მეტი რა გამიგია ჩვენი ანთროპოლოგებისგან.

- ის თუ გახსოვს, რას ამბობს პლატონი ფედონში?

- რას ამბობს?  
- რომ ყოველი ადამიანის სული გარდაცვალების შემდეგ იბადება ისევ დედამისაზე, სხვა სხეულში. და ეს სხეული მას ეძლევა იმის მიხედვით, თუ როგორ გაატარა წინა ცხოვრება. მაგალითად, თუ კაცმა ცხოვრება ძალღერად გაატარა, მომავალ ცხოვრებაში ძალღედ დაიბადება, თუ ღორულად - ღორად და ა.შ. თუკი ასეა, რატომ არ შეიძლება, რომ კაცი ავაზად განსხრულებულიყო?

- რატომაც არ შეიძლება, მაგრამ ეგ მხოლოდ პლატონის თეორიაა.

- მხოლოდ პლატონის თეორია? - ლევანმა წარბეზი ავიძა - ამასვე იმეორებს მიმგრძობის სამთავროველი, ამასვე იმეორებს ირინეოს ყრუ-მუწევი და ათობით სხვა ძველი და ახალი ფილოსოფოსი, ამასვე ამტკიცებს ძველი ინდურ ერთობურული სიმბრძნე - განა რე გსმენია, რომ გაუტამა ბუდა თავისი ერთ-ერთი ადამიანური ინკარნაციის შემდეგ ლენწმად განსხრულდა?  
- მერედ რა? რატომ უნდა დაეუშ-



ვათ, რომ მაინც და მაინც ეს ავაზა გარდასხეულებული ადამიანი? ამის აუცილებლობას სრულიად ვერ ვუბნე - ვიძიე მე.

- სხვის რას იფიქრებ, როცა კარზე ზარს დიგრიკავენ, გამოიღებ და შენს წინ აღომართება ორ ფეხზე მდგარი უზარმაზარი ავაზა, რომელსაც თავზე ფრფლავიანი ქუდი ასურავს და ცალი თათით უფარდვლად ეყრდნობა კედელს? - მკითხა ლევანმა.

- ვიფიქრებ, რომ გუშინდელი ღვინო ზედმეტად დასპრტული იყო.

- მართალია - სერიოზულად მიპასუხა მან - შეიძლება ეს ყველაფერი ამ ამბის ერთადერთი მოწმე ქალის შერყვეული ფსიქიკით აგვეხსნა. რომ არა ერთი დეტალი.

- რა დეტალი?

- ამას მიზღოს გაიკვებ. ახლა უზარალოდ ვცდილობ გავარკვიო, რით შეიძლება ავგეხსნა ავაზას არაბუნებრივად გონიერი და გამიზნული მოქმედება. მეტემფსიქოზის თეორია არც მე მერყვეულად დამაბეურებულად და ამტკიცების ახსნა უფრო მარტივადაც შეიძლება. მაგალითად - ლიკანთროპია, ცნობილი "შავი ძაღლებისა" და მიქციების შესახებ.

- ლიკანთროპია, "შავი ძაღლები", მიქციები - პირველად შესმის ეს ტერმინები - შევასხე მე.

ლევანი მდუმარედ წამოაღდა, წინგის კარადას მიუახლოვდა, რაღაც წიგნი გამოიღო და წინ დამიდო. ეს იყო ძველი, ხმარებისგან დაბეჭდილი წიგნი. "ჯონ მიჩელი, რობერტ რიკარდი. აუსხენი ისტორიები" - ეწერა გარკვეაზზე.

- ეს რა არის? - ლევანს ავხმედე.

მაგიდის აღმამიდან დაეცეპული მისი ჩრდილი ითაბის კედელზე ჭერამდე აღმართულიყო.

- გადავაყოლე 53-ე გვერდზე.

- გადავაშლიე.  
- წიაკითხე.

"შავი ძაღლები".

"თუკი მოჩვენება ასეთია - დაგნახნება და ხელს ვერ შევალბებ - მაშინ აქ ნამდვილად მითხე იქნება ლაპარაკი. ფოლკლორის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ბრიტანეთის კუნძულებზე ძნლად მოიძებნება კუხები, სადაც თავისი ტრადიციული მოჩვენება არ შვავდეთ. თანაც მოჩვენებანი, ისევე როგორც ყველაფერი, დროის მიხედვით იცვლებიან. თუკი წინათ ადამიანებს უთუო ცხენებზე-შემბნელი ცხლი ეყვებოდნათ, რომელსაც უთუო მეტელე მიპროვლავდა, ახლა "მოჩვენება ავტომობილები" უფრო გახშირდა. მაინც ყველაფერი ისევ ისეა - მოჩვენებათა რაოდენობა არ მცირადება.

"სარეის ბუმბზე მონათბრობში ტრადიციის სახეზეა. აქ ლაპარაკია დიდ შავ იდუმალ ცხენებზე, რომელიც ინგლისის სოფლებში დაძრისს. ნორფოლკში მას "შავ ძაღლს უწოდებენ", სომერსეტში - "დიდ ძაღლს" და ა.შ. მაგრამ რაც არ უნდა უწოდონ, ლაპარაკია ერთსა და იმავე მოვლენაზე: რაღაც საშინელი არსება დაძრისის სხვადასხვა ადგილას, უფრო ხშირად ძველ გზებზე და მის დახანგავზეც კი ადამიანს ძარღვებში სისხლი ეყინება.

"ითხებნა ურზხული, შავი, საცრი-სოფელი თეაბლით" - ასე იხსენიებს "შავი ძაღლითარ" შეხვედრას 1907 წელს, ბუდელი პილის მახლობლად სომერსეტის საგრაფოს ერთ-ერთი მცხოვრები. "რაღაცამ მიიბრინა იმ ადგილამდე, სადაც ჩავალმა ნაკვალა წაღის. ამ მხეცებს გამდინარე ნაკალი ყველაზე ნაკვალეად უყვართ და ვერ გადავლამავენ. ამიტომაც ის უმტხა, ცუცხლად აბრიალდა და პირში გაჯინიარდა".

"ი ერთი დევიანტი ფერმერის მონათბრობი, რომელიც იმ წიგნიდან მოგვყავს, სადაც "შავ ძაღლზე" მითების, ლეგენდების და ნამდვილი ამბების უმეტესობაა შეტრებილი (პატრიცია ფიფილი-გარნი, "ძაღლი"). დარტმუში ყოფინისას ამ ფერმერმა ზურგსუკიდან რომელიღაც შუეცის ფეხისმა გაგოგრა. მას მოუწენია, რომ ეს დიდი შავი ძაღლი იყო და თავზე ხელის გადასმა მოუწენიდა, მაგრამ სისერიოზული წანაყვად. ძაღლი ამასობაში გაიქცა, თან პირიდან გოჯირდის კვამლს აფრქვევდა. ერთხანს ფერმერი ძაღლს მისდევდა, მაგრამ გზაჯვარედინზე ის უწედა აფეთქდა და ფერმერი მისზე აღმოჩნდა.

"ეს ისტორია შეიძლება იმ მონათბრობათა რიცხვს მივაკუთვნოთ, ჭიქა გრძნების გადაკვრის შემდეგ რომ ყვერბიან. მაგრამ "შავ ძაღლითარ" შეხვედრის იმდენი ცნობა გვაქვს, რომ დაფიქრება გვმართებს - რუთ ყველა მოგონილია? "შავი ძაღლი" სხიან მოჩვენებას ბვერი საერთო აქვს წყენს ნოვგმა მოთხრობილ ამბებთან. თუნდაც შავი ძაღლის გაქრობის უწარი ავილოთ, თანაც აფეთქებთ, რაც მას ასე ამგავებებს სვერულ ელვას, ჭაობისა და სასაფლა-

ოების ცეცხლს. როგორც ისინი, "შავი ძაღლიც" ყველაზე ზნორად სასაფლაო-ოთან, გზაჯვარედინებზე, მდინარის კალაოტების განსვრივ და უპარკონოდ მატობრეულ გზებზე წნდება. დაბოლოს - "ძაღლიან" შეხვედრას სიკვდილის მაცნედ მიიჩნევენ.

- საკმაოდ შთამბეჭდავია - ვუთხარი ლევანს, როდესაც კითხვა დავაშთავრე.

- ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. გადაშულ 179-ე გვერდზე.

"მაქციებს" - ეწერა ქვესათარად. "მაქციებს" ეძახიან ადამიანებს, რომელთაც უნარი შესწევთ, ჯერ მგლებად გადაიქცნენ, შემდეგ ისევ ადამიანის სახე მიიღონ. თუ ამას ექმნის თვალთი მხედვად - ფიზიოლოგიურად ეს შეუძლებელია. მეორე მხრივ, როგორც იურისტებმა - ეს უნდა დაიჯეროთ, ვინაიდან იურისტპროფესიის ისტორია სახედა სასაბარლოო საქმეებით, რომელზემაც მაქციებს სიკვდილს უსჯიდნენ. თანაც მოწმეთა ჩვენებები, როგორც წესი, ერთსულოვანია და უმნიშვნლო რეპუტაციის ადამიანებს ეკუთვნის.

"ყველაზე პირდაპირი საშლილი იმთავან მოიღეს, ვინც საკუთარი თვალთი იხილა ეს საოცარი მეტამორფოზა. ერთი ასეთი თვითმოხლეულია შუაგაბის უნივერსიტეტის რექტორი პიერ მაგორი (XV ს.). მისი ჩვენება მოჰყვას მამა მონტეგიუ სამერის თავის წიგნში "მაქცია". იგი მოგვითხრობს ლორენციო გელის მფულოლს შემზავან ისტორიას. ქაღმა დაიხანა მაგიდისთან მედრამა მისმა ქაშამმა როგორ ამოარჩია ხელის მტეკანი და მერე მთელი ხელი იმ ბავშვისა, რომელიც ბაშინ შეჭამა, როცა მგლის სახე ჰქონდა. მაგორი ამას "მონორი ილუზიით" ხსნის, ვინაიდან იგი თვორის თანახმად, მაქციებს მგლები არიან, რომლებმაც ადამიანთა სულებში ჩასახლებული, მათი სხეულები კი ამ დროს უსაფრთხო ადგილასა შენახული. და ყველაფერი ეს ბოროტად დემონების ნამოქმედარია.

"ეს თეორია არ გამოადგება ასეთი მაგალითის ასახსნელად, როგორც ოლავუს მაგნუსის მოჰყავს თავის "ნრდილოეთის ხალხთა ისტორიაში". ერთხელ მონამ გაიგარა, მისი ბატონის მფულოლ ადამიანის მგლად გადაქცევის შესაძლებლობას როგორ უარყოფდა. მონა ქალბატონს შეურდავა და კიდევ დაუმტკიცა - ეს ტრანსფორმაცია მის თვალწინ ჩაბატრა. "მონას" ძაღლები მიუსიცი, მგლადქცეული უკანმოუხედავად გაიქცა, ორიამბროლაში ერთი თვალით დაკარგა. მეორე დღეს ადამიანის სახით დაბრუნდა, ოლონდ - ცალთვალა.

"თითქმის ახალი შემთხვევაა მოყვანილი ს. დივინს ნიგეში "ოკულტიზმი ადმოსავლეთში". პაროლდ იანგი, ბირმის ადმინისტრაციის ყოფილი ჩინოვნიკი, ლუბუს მტებში ნადირობისას მოულოდნელად ჯუნგლის მაქცის წანაწედა, იქაურები "ტაოს" რომ ეძახიან. სოფელში რომ დაბრუნდა, მეტყეო, "ტაო"

სადაღც აბლო-მახლო იყო. უტებ ყვიროლი გაისმა. იანგმა ქიხიან მიირბინა, სადაც მთვარის შუქზე ნათლად გაარჩია: "ტაო" კბილებით ყელში მავრენიდა და ქალს, რომელიც სისხლსამ იცლუბოდა. იანგმა იარაღი აღმართა და მტეცს გულში ესროლა. ნადირი ჯუნგლებში შევარდა, თან სისხლიან კვებს ტრეებდა. დილით იანგი და სოფლის მცხოვრებნი ნაკვალევს გააშვენენ. ყვალვი ჯერ უჯუნგლებში მიიღოდა, იქიდან - უჯან, სოფლისკენ, და წყდებოდა ქიხიან, სადაც გულ-მკერდში ტყეით დაჭრილი მამაკაცი იპოვეს.

მაქციების ფენომენი პირველად ახსნა ჩვენ. ა.დ.1111. რომაელმა ექიმმა მარციუსი აღიკვეთს. მისი ბრთი ლაპარაკია ძალიან არასასიამოლო ფენომენზე - ლიკანტროპიაზე. მისი მსხვერპლი თავს მგლებად წარმოიდგენდა და შესაბამისად იტყვიდა, ვინა საქცეა რითი იხსნებდა თვითონ ლიკანტროპია. იწვევს თუ არა მას მელანქოლიის განსაკუთრებული სახეობა, როგორც მარციუსი თვლიდა, ან იქნებ საქცე "უმბაკის ჩახსლებამაშია", როგორც ირმწინება სამერსი და ბევრი სხვაც". - რას იტყვი?! - მკითხა ლევანმა, კითხვა რომ დავაშთავრე.

მხრები ავიჭე.

- ვერაფრის ვიტყვი, ძალიან შეგიტოპავს ოკულტიზმში.

ლევანმა ჩაიციხა.

- შმ. ოკულტიზმში. მართალი გითხარა, ამ ყველაფრიდან სიტყვაც არ შედარა. მაგრამ სხვანიარად როგორ უნდა აფხსნათ დაქცეული ავაზას მოქმედება?!

- მაქც რა ქნა ამ ავაზამ, აღარ იტყვი?

- მომისმინე და ექლავ გაიგებ. გელას დასაფლავებიდან უკვე კვირაზე მტეტი გავიდა. 13 იანვარი იყო. დავბოცე და ძველით ახალი წელი. წელი თვისი ბინაში ივდა. სუფრა ჰქონდა გაშლილი. სტუმრებს ელოდა. უნდა მოსულიყვნენ გელას ყოფილი მამაკაცი, ამჟამად კი - მისი მკვლელები - ოთარი და ზაურ. მეგობრები გელას სიცოცხლეშიც, როგორც წესი, ძველით ახალ წელს ეროლად ზედმოდუნენ წელისთან (ამ უშობილოდა და უანწყოო ქვეყანაში ხომ ყველაფერი ძველით ხდება). გახდა ათი საათი, თერთმეტის ნახევარი. სტუმრები არ ჩანდნენ. გახდა თერთმეტი. კარებზე ზარი. მაგრამ წელიმ იგრძნო, ეს ოთარის ზარი არ იყო. ოთარი ყოველთვის გაბმით რეკავდა ზარს. ეს იყო მოკლე წყვეტილი ზარი. კართან მივიდა, საჭერტში გაიხედა და გული გადაუქუნდა - მისი სადარბაზო კარის წინ, პარპალაზე, იდგა უკანა ფეხებზე წამოპირთული შავი ავაზა. მარჯვენა წინა თათით - ალბათ წონწანორობისთვის - კარის ამყოლს ყვრდნობოდა, კბილებით კი შავი ფარფლებიანი ქუდი ეჭირა. - წელი ძალიან კარგად იცნობდა ამ ქუდს. საჭერტთან ნაკუზულ ქალს ხასა გაუშრა, ელდისგანვე ველარაფერი მოსაწარა. წამით იფიქრა, რომ ეს ვიღაც ნაცნობი


იყო ნიღბით. იქნებ ოთარი შავიყრენოდა. დააბირა დავებმა: "ნუ ზუმობო, ოთარი", მაგრამ ამ დროს მტეცმა მარცხენა თათი ასწია - წელიმ კარგად გაარჩია ცხოველის თათი - და საჭერტის მიავარა. თავზარდაცმული კბილი ფეხაკრეფით მოშორდა კარს, თავის თათს მიშვიდა და ჩაიკეტა. "ფაფრინად არ შემომივარდეს!" - გაიფიქრა წამით. მაგრამ გაახსენდა - ყველა ფაფარა მგლებად გისობებით იყო აჭყლები. გარდა ერთისა - სამზარეულოში. წელი წამოიჭრა, ცხახტებით მიირბინა ამ ფანჯარასთან და დარაბები მჭიდროდ ჩაკეტა, ისე რომ ეზომი არც გაუხვდავს. შესდებ ამ სახლს, სწორედ ამ სახლზე მატქს ლაპარაკი - ლევანმა მაგორიანზე ფარდა გადასწია და ქუჩის დარბაზში მხარეს მდგარ ერთსართულიან აფურის შერობაზე მიმოიბინა. ნისლას და სიბნელებში სახლი სრულიად მტობეულად და უკაცურად გამოიყურებოდა.

- ეს არის წელის სახლი? - ვკითხე და ჩავახველე.

- ეს არის. მანდ გათამაშდა ტრაგედიის დასკვნითი სცენა. - ყრუდ წარმოიქცა ლევანმა - უახსნელი ვიზიტადან ორმოციოდე წუთის შემდეგ - თუცა წელის ევანა, რომ საუკუნე გავიდა - კიდევ ერთხელ გაისმა ზარი - აშვერად გაბმული ზარი. მაგრამ წელის ძალა არ ჰქონდა, კართან მისულიყო და გარეთ გაეხედა. ზარი. კიდევ იყო. მერე ძბილი - "წელი წელი" - ოთარის ხმა. წელი ზეზე წამოიჭრა და კართან მიირბინა.

- შენა ზარ, ოთარი!  
- შო, მე ვარ. რას აკეთებდი, გეძინა?

- მალე შემოდი! მალე, მალე! წელიმ კარები ჯაჭვებით გადაარაზა. და ოთარს კისერზე ხელები შემოხაზა.  
- რა მოგივიდა, წელი, რა მოხდა!  
- რა, საშინელება ენახებ?  
- რა ნახე ასეთი! დაწნარდი, ჩემი გოგო, რამ შეგაშინა!  
- ზარი იყო. გავიხედა და რა



ლაც უზარმაზარი შავი ცხოველი დაეჩინებ. ორ ფეხზე იდგა და გულს შლიდა ვეცირა.

- რა ცხოველი, ქალო, რას ლაპარაკობ!

- არ ვიცი. პანტერას ჰგავდა. გული გადაიმტრიალდა. პირში... ოჰ... გელას შავი ქუდი ვეცირა.

- კაი ერთი, მოგეჭყენებოდა რაღაც - ოთარის გაეცინა.

- შეიძლება... შეიძლება მომეჭვენა... მაგრამ არ მომეჭვენებია - ნელის ცრემლები წასად - ნამძვილად ის იყო, ის!

- ვინ ის?

- ქუდი. გელას ქუდი. და მცეცის სახე.

ოთარი უსამიოდ შეიჭმუნა.

- გაგაშაყრებდა ვიღაც ბოროტებით სავსეა ხალხი. ერთი გამაგებინა, ვინ იყო და მტერი არავფერი არ მინდა. კაცდი არ ვიყო, თუ მასეთი ხუმრობა ვინმეს შევაჩინო.

- შენი ჭირიმე, ოთარ, თავი დაანებე. ნეტა მართლა ხუმრობა ყოველყოფი და მტერი არავფერი.

- არ შევარჩენ-მეთქი. ეგდა მაკლია, ვიღაც ნაბიჭვრებმა მასწრადა აგვიცდონ, მაგათი იდეა... ზურა სად არის ამდენ ხანს! არ დაურეკია?

- არა.

- სად მამაჩემის მამასთან დადიხ ამდენ ხანს.

იხეე ზარი.

- არ გაალო ოთარი!

- კარგა, ნუ გაბამხებ! - ოთარი კარისკენ გაემართა.

- გალაზოკმა გაიხედე! ვინ არის ვინ არის?!

- შეჰკვილა ნელიმ.

- ზურა იქნება, სხვა ვინ უნდა იყოს - სემცებარმა ოთარმა მაინც გაიხედა და შეჭერეშეშე. პარმალზე ზურა იდგა. ხელები შამპანურის ბოთლებით და მოკლადგებით შქინდა დატვითული.

- აქა მშვიდობა!

ზურამ ლიბილით შემოაბიჯა.

- სადა ხარ ამდენ ხანს, შერქმა!

- რა იყო, ჯერ თორმეტია, რო?!

- არავფერი. ნელი ნერვიულობს რაღაცას. - ოთარმა კარი მოიქონა, მაგრამ მიხურავა ვეღარ მოასწრა. გარდადნ ვიღაცა მძღვრად მოაგდა კარს და ღრიჭოში გვევლინა შემოხრალიდა უზარმაზარი ავაზა. ვერავინ დაინახა, სად იყო ჩასაფრებული. შესაძლოა - სახურავზე, და პარმალზე პირდაპირ იქიდან ჩამოსტყა. კარი - უნებურად მოძრაობით თუ ქარის დატვითვით, მიიხსრა და ჩაიკეტა. თავზანადცემული კაცები უკან მიანყდნენ. ავაზა მათსა და კარს შორის აღმოჩნდა.

- ეს არის, ეს! - ინილა ნელიმ და იატაკზე ჩაიკეტა.

აქ სცენა გატყავდა.

ოთარი და ზურა ქანდაკებებით გაიყინნ.

მცეცი კარებთან დარჩა. კუდი რკალებით ეხრებოდა, ღრმად სუნთქებდა.

- ზურა - დაბისინა ოთარმა - იარაღი სადა გაქვს.

- მანქანაში დატოვე - წარმოთქვა გაფთვრებულმა ზურამ.

ოთარმა ჩუმად შევიცინა. მერე ნელისკენ მიატრიალა თავი.

- ნელი. გესმის, ნელი. გელას იარაღი სად არის?

- უფერაშია, ზემო უფერაში - სლუკუნით თქვა ნელიმ და უღონოდ გაიწოდა ხელი მცეცი ოთახისკენ.

ოთარმა ფრთხილად გადადგა ნაბიჯი. მაგრამ მხეც მისი მოძრაობა არ გამოპარვია, დაღირინა და ბუჭებზე ტყავი აუთამაშდა.

ოთარი შეჭერდა. შუბლიდან ოვლი მოიწმინდა.


- რა ვწნა...

- რივიკო რო გააკეთე, ოთარი?!

- ვერ მოვასწრებ. საიდან გამოტყვრას ეს შობეძალი...

- ღმერთი გახვალს... ღმერთი გახვალს - მოისმა ნელის დაგუგული სლუკუნე.

- მოკეტე! - დაღირინა ოთარმა.



მოულოდნელად ზურამ ბოთლები და პარკები დაყარა, ისკუბა და მცეცი ოთახისკენ, სადაც გელას იარაღი ინახებოდა, გაეტანა. მაგრამ ავაზას ნახტომი უფრო სწრაფი იყო. გონს მოსვლაც ვერავინ მოასწრა, ზურა უკვე იატაკზე ეგდო. სახეზე ხელებს იფარებდა და იკლანებოდა. მხეცმა სახეში ჩაასო ბრჭყალები და მხაკების თვანდინ ყელი გამოვლიდა. შემავრუნენი ხავილი. მხეცმა სისხლიანი დინგი ასწია და დაიროლა. სწორედ ამ დროს დაიწყო სწრაფი - ეს ბედნიერი ქართველი ერთი ეგებებოდა ძველით ახალ წელს. ისმოდა პისტოლეტების ტყავუნი, რაღაც მიმეჩ იარაღის ქუხილი, მამხალღების წეული.

- ააა! - თითქოს შორს და ჩუმად გაისმა ნელის კვილი.

“გაპოვდა” - უნდოდა ეცვირა ოთარს, მაგრამ ხმა არ დაემორჩილა. შეჭალარევებული თმა ვალვზე დასდგომდა. ნაშით გახედა სისხლან მხეცვრ-

პლმწიროვას, მერე ანახდა სადარბაზო კარისკენ შტრიალდა და მოწყვეტილ გაეგარდა. უკვე კართან იყო მიყვლი, როცა ზურაზე მხურვალეობა და ტკივილი იგრძნო. რაღაცამ უკან გახადისძალა. გულაღმა დაეცა. იგრძნო სახეზე უზარმაზარი ქანგების დახმა. სისხლმა იფეთქა.

- ააა! - იღრიალა ოთარმა, მაგრამ მისი ხმა, მიიღო თბილისის არსენალის კანონდამი არავის გაუგია. მცეცი უწყალიოდ ფლვლიდა. ოთარმა ძალა მოიკრიბა, ყელში ჩაადრინდა ხელუფლი, ცდლობდა როგორმე სახიდან მოეშორებინა, მაგრამ შავი დაღრევილი დინგი ნელ-ნელა უახლოვებოდა და ბოლოს კიდევ სწვდა. გაისმა ძვლის გრუჭი ქსანია. ავაზა - კბილებით ყელში ჩაფრენილი მოიწვდა და გაიარინდა.

- ააა... - ოთარი სროტინებდა. მერე გაიწვდა.

ნელი ძლივს წამოდგა იატაკიდან. ერთი დახედა ოთარის გავსს, რომელსაც მცეცი მეუღლესავით მიხსოლოდა, და გაბმით დაიკვირა. ვეცლავერს - ნელის კვილსაც, მცეცის ღმურისაც - ახშობდა გაუთავებელი სწოლის ხმაური. ოთახი სისხლით მოიწვწო. სისხლის შეფუთი იყო კედლებზე ავეჯზე, დანჯარაზეც კი. სისხლმა ცურავდა შავი ქუდი, რომელიც არავის დაუწინაია როდის აღმოჩნდა ოთახში.

ნელი კედელს აეკრო. მონუსხულივით უყურებდა, როგორ მიუახლოვდა მცეცი ელექტრონის სინათლეზე ბზინგარე სხეულით, უკანა ფეხებზე აიტოტბა და შავი ქანგები მკვრელად დაუსვა. ნელის გაეტეტ შემოება, კახაც შემოეფლითა. ცოტა ხანიც და ნელსზემით შიშველი დარჩა. მკვრელზე და მუცელზე კლმა ქორლობები აჩნდა ავაზას ბრჭყალებისგან. სისხლი სცილიდა. ტკიოდა და ამავე დროს ტკიოვს ვერ გრძობდა. ავაზა მის წინ აყალყულოდა და თვალდში უყურებდა. უყურებდა, უყურებდა და ნელი თვალს ვერ ამოიხედა ამ ყვილით თვალეს.

მერე მოხდა ყველაზე საშინელი.

ნადირობილად დაეშვა ოთხ ფეხზე, მოუახლოვდა სისხლის ტბაში გართობული ოთარის გავსს, თათი სისხლში ამოალოდა და კედელზე ჩამოუსვა, რაღაც მოხაზა. მერე შავი სხეული ქალის გვერდით გაიკლანდა და ისე რომ მისთვის თვალში არ მოეშორებია, გახადანებრი ღრუნიდა და კრუტუნით, რასხლტა გარეთ.

ნელიმ შეხედა კედელზე სისხლი ნანგრის - იქ ერთადერთი ასო იყო ოკროპორულ გამოცევილი - “გ”. გელას სახელის პირველი ასო - და უფარმონლად დედაც იატაკზე.

სწორედ ამ დროს კანონად შეწყნდა. როგორც წესი, ეს სახალალო სროლები ხუთ-შვიდ წუთს გრძელდება. ამჯერადაც ასე მოხდა.

ჩამოწვდა მკვდრისებრი სიჩუმე. ნელის სახლის გამოლეული კარიდან სინათლე სცემდა უპატრონოდ დარწინილ

მანქანებს. ნელი თანდათან გონს მოვიდა. თავი ასწია. დახედა ორ დაფლულ სისხლს, სისხლს, ქუდას. კედელზე სისხლით მივლანნილ ასოს, და იქვე ჩაყდა სისხლი, უაზრო ღიმილით.

ხანგაძარი საათის შუგეფზე, როგვაც პოლიცია შევიდა სახლში, ქალი ისევ იყო ივდა - მაშველი, დამაბნელებელი მკერდით. ხანგამოშვებით ტირიდა და ისტერიაულად უაზრად ლაპარაკობდა. სულ ეს არის.

ლევანმა დაამთავრა და ჭიქიდან მუქი ნიღოლი სითხე მოსვა.

- ავაზა? რა მოუფიქრა? - ვკითხე, როცა გონს მოვეცე.

- ავაზა არავის უნახავს. ჩაფიქრები. დიდხანს ფიქრობდი. მერე თავი აწვიე.

- აბა როგორ დაასკენი, რომ ავაზამ ჩაიფინა ეს ყველაფერი? იქნებ ნელი თვითონ დაიწვა კაცები დანი. - ჯერ ერთი, ყველგან ამჟვარად ჩანდა ავაზას სისხლიანი თათებისა და ბრჭყალების კვალი - იატაკზეც და ადამიანთა სხეულებზეც. მეორეც და რაც მთავარია, ავაზა მე თვითონ დავინახე, როდესაც სახლიდან გამოდიოდა. სწორად რომ ატყდა, ფანჯარა გამოიფულა ქუჩას გაეყურებდი. სწორად შეწყდა თუ არა, მოპირდაპირე სახლის კარი გაიღო, იქიდან ავაზა გამოსხლტა და ზეითიქვე გაიქცა.

- უცნაურია - ვთქვი დაფიქრებით. - რა არის უცნაური?

- მწილი დასაჯერებელია. როგორ მოხდა, რომ ისეთი ამბავი მიტელს თბილისს არ მოელო.

- ეს შემთხვევა საგულდაგულად მიაწუშეთეს. სანამ ვინმე რამეს გაიგებდა, ბინაში პოლიცია შევიდა. ნელი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ცარი მაშინვე დალუქეს. საბოლოოდ პოლიციამაც კარგად ვერ გააკვია, რა მოხდა. შუბლი იწორის ლაპარაკიდან მწილი იყო რაიმე დასკვნის გამოტანა.

- პოლიცია ვიღამ გამოიძახა?

- მე გამოვიძახე - მშვიდად თქვა ლევანმა - როდესაც სახლის ღია კარი და იქიდან გამოსული ავაზა დავინახე, მაშინვე ვიფიქრე, რომ რაღაც განსაკუთრებული უნდა მომხდარიყო. სწრაფად გავედი და სახლში შევიჩვიე. ნელი ისევ გულწასული იწვა, ყველაფერი სისხლით იყო მოთხვრილი. კედელზე ოკრობოკრიდ მიველანნით სისხლით ნაწერი დიდი "გ".

- ის როგორღა გაიგებ, რომ ეს "გ" ავაზამ დაწერა და არა, ისევ და ისევ, ნელიმ?

ლევანმა შუბლი შექმუნა.

- სწორედ ეს არის ამ ამბის ყველაზე გაუგებარი და საიდუმლოებით მოცული დეტალი. ტრაგედიიდან ორი კვირის მერე მე თვითონ ვინახულე ნელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მასთან უკვე შეიძლებოდა ლაპარაკი. მთელი ეს ამბავი მაშინ და მომდევნო დღეებში მიაბო. მის ნაამბოში, რა თქმა უნდა, არის დაუჯერებელი დეტა-

ლები, და შესაძლოა, ბევრი რამ მისი ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფი იყოს - თუნდაც კარის წინ მდგარი ავაზა, ქუდიანი კბილებში, ან ეს კედელზე მიწერილი სისხლიანი "გ". როგორც ვთქვი, ნელიმ მცვის გამოწვევა ღვთის მიერ მოუწოდებლად სასჯელად მიიღო. ცხადია, შეიძლებოდა, ისტერიაში ჩაყვარდნის თვითონ გამოიყვანა კედელზე სისხლით "გ". თავისუფლად შეიძლება, გელას ქუდიც თვითონ შექმნა სახლში შენახული და მერე დაეგდო ტრავმების ადგილას, როგორც ერთგვარი სიმბოლო, ასევე შეიძლება ავაზა სრულიად შემთხვევით აღმოჩნენილიყო იქ. მაგრამ აქ ორი დეტალია მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი, თუკი ყველაფერი შემთხვევით დამთხვევა იყო, რით აისხნება ის ფაქტი, რომ ნადირი მთელი ხუთი დღე-ღამე იმპლემბა ქაღალტის ცენტრში, არავის დასხმა თავს, მაგრამ სწორედ იქ და იმ დროს გამოცხადდა, სადაც და როდესაც გელას სიკვდილში დამნაშავე სამივე ადამიანი ერთად იყო. და მეორეც - როცა მე შევედი ნელის ბინაში, სისხლიანი "გ" კედელზე უკვე ეწვია, ნელი კი ჯერაც გუროვდ ეგდო იატაკზე. მასა და წარწერანი კედელს შორის სისხლის მთელი ტბა დგდა. ნელი, ისე ვერ გადაკვეთდა იოთას, რომ კვალი არ დაეტოვებინა. იქ კი მხოლოდ ავაზას კვლი იყო. სისხლის დაღვრის მომენტები ჩემს უსკვლამდე ნელის არცერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს იოთასში - სადაც დგდა, იქვე ჩაიყვანა გულწასული. პირველად მეგდარი მეგონა. მოგასულიერე. ლაპარაკი რამდენიმე დღის მერე შეძლო. მიხვან გავიქვამ ამბის პრესტიჟობი. გავგიმარჯვოს. - ლევანმა ნითელი სითხე მოსვა.

ღვინო აღარც მახსოვდა. მეც გამოვცდი ჩემი ჭიქა და ისევ შევიყვებ.

- საინტერესოა - ვთქვი - მაგრამ შენი ვერსიის გარდა არსებობს კიდევ ერთი ვერსია.

- რა? - გამჭოლი მზერა მომაპყრო.

- ხომ შეიძლება, შენი გამოგონილია ეს ყველაფერი?

- შეიძლება! - მშვიდად დაძეითანმა იგი - მაგრამ არსებობს დეტალური, ფოტომასალა. გარდა ამისა, - მან ჩაიციხა - არსებობს კიდევ ერთი ვერსია.

- რა? - ამჯერად მე მივაყვანი გამჭოლი მზერა.

- შეიძლება ზოოპარკის თანამშრომლებმა იცრუეს და სინამდვილეში არავითარი ავაზა არ გაქცეულა.

- შენ თვითონ არ თქვი, ავაზა დავინახეო? თანაც - კლანჭების კვალიც იყო კედელზე.

- დავინახე, მაგრამ სიბნელე იყო, ნისლი - დაფიქრებთ შემომხედა - გასსოვს, საუბრის დასაწყისში ვახსენე, ზოოპარკში იმ დღეს სამი ახალი ცხოველი მიიღეს. მათ შორის ერთი ხმოვარი, რომელიც თვალთ არ მინახავს და არ ვიცი, როგორია. - მახსოვს.

- ჰოდა, ხომ შეიძლება, ძველით ახალ ნელს, ღამის 12 საათზე სწორედ ეს საიდუმლოებით მოცული ბზოვარი დავინახე და არა ავაზა?

- შეიძლება - მიუვდა. მეცრე ხანს დღემლი ჩამოწვა. იოთასის კუთხიდან დადი საათის მონოტონური ძეგრა ისამოდა.

- კარგი - ვთქვი ბოლოს - შენ თვითონ რითი ახსნი ამ ამბავს? ლევანმა მხრები აიჩქრა.

